მარიამ ჯიშკარიანი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

,,კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთი მიზეზი ჩემთვის Erasmus + პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა იყო. უნივერსიტეტმა მომცა საშუალება, ეს სურვილი რეალობად მექცია და ერთი სემესტრის განმავლობაში ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ესტონეთი (Tallinn University of Technology, Estonia) მესწავლა .

თავდაპირველად ადაპტაციის პროცესზე ნერვიულობის მიუხედავად, პირველი დღიდანვე საინტერესო საუნივერსიტეტო აქტივობებმა საშუალება მომცა, თავი უცხოდ არ მეგრძნო, რაც ყველაზე მთავარია, დავახლოვდი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან, გავიცანი მათი ენა და კულტურა.

გარდა განსხვავებული სასწავლო სისტემის გაცნობისა, ესტონეთის გარდა სხვა რამდენიმე ქვეყანაში მოგზაურობაც შევძელი. ზამთარში ჩრდილოეთ ევროპის ცივი ქვეყნის არჩევის ერთ-ერთი მიზეზი ციალის ნახვის შესაძლებლობაც იყო. ღამის სამ საათზე გუნდაობა და ავრორას დევნა ჩემს საყვარელ მოგონებად დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ მაინც ვერ ვნახე, შუა ღამეს მწვანე ციმციმის თუნდაც უშედეგოდ დევნა იმაზე ბევრად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე შეიძლება ჟღერდეს.

უცნაურია, თუმცა ამავდროულად საოცარი შეგრძნებაა მოხვდე ისეთ ადგილას, რომელიც სრულიად უცხო ადამიანებითაა სავსე მაგრამ თავს როგორც სახლში ისე გაგრძნობინებენ, სახლიდან 3000 კილომეტრით შორს და აღმოაჩინო შენი თავის სრულიად განსხვავებული ვერსია, ბევრად უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი.

საბოლოო ჯამში, სასიამოვნო სემესტრი იყო, რომელმაც ძალიან შემცვალა და ეს ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში. მიხარია, რომ გავბედე, გავიზარდე და კარგი მოგონებები დავაგროვე, რომელთა მოყოლაც არასდროს მომბეზრდება.

ბოლოს კი, მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს შესაძლებლობისთვის და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, დაუვიწყარი გამოცდილებისთვის.’’